

ISSN 0206-2135

1

1990



FOREIGN LANGUAGES  
AT SCHOOL

LES LANGUES  
ETRANGERES A L'ECOLE

FREMDSPRACHEN  
IN DER SCHULE

საქართველო  
მნიშვნელოვანი  
სატლაპი



## პირის კატეგორიის ფუნქციები ტექსტში

არის ჯავა

პირის ფორმათა გრამატიკული პარადიგმა სამი ფლექსიური ფორმის დაპირისპირებით გამოიხატება, რაც მიუთითებს სუბიექტთან მოქმედების კავშირზე. მაგრამ პირის გრამატიკული კატეგორიის გრამეტებმა შეიძლება იცვალონ თავიანთი მნიშვნელობა შესაბამისი ზმნების დექსიკური მნიშვნელობის ხასიათიდან გამომდინარე; ზოგიერთ შემთხვევაში ზმნის პირის კატეგორიის გრამეტათა მნიშვნელობა შეუთავსებელი (ან მნელად შეთავსებადი) ხდება ამა თუ იმ ზმნის დექსიკურ მნიშვნელობასთან და პირის შესაბამისი ფორმები არ იქმნება.

ზმნის ცალკეული ფორმების გამოყენებლობა ან არ არსებობა არ არღვეს ენაში არსებული უღლების სისტემის მთლიანობას. ზმნებს, რომლებიც რეალურად არ იხმარებიან მხოლობითი ან მრავლობითი რიცხვის I და II პირში, გრამატიკულ მნიშვნელობა შეუთავსებელი აქვთ დექსიკურ მნიშვნელობასთან, I და II პირის ფორმის უქონლობის მიზეზი სემანტიკურია. ამგვარი ზმნები აღნიშვნელ ისეთ მოქმედებას, რომლებიც არ შეიძლება მივაკუთვნოთ ადამიანს — მოლაპარაკეს ან მის მსმენელს. ეს ზმნები გამოხატავენ ასტრაქტულ მოვლენებს, მოქმედებებსა და პროცესებს, რომლებიც შეინიშნება ცხოველურ, მცენარეულ ან გარესიმყაროში. I და II პირის ფორმების აღნიშვნელ ზმნებთან რეალური გამოყენებლობა მოწმობს დექსიკურ ფაქტორებთან გრამატიკული ფაქტორების დრო ურთიერთგანვითას.

ზმნის ფორმების გამოყენებაზე ზმნის დექსიკური მნიშვნელობის ხეგაღლენასთან დაკავშირებით ზმნაში არჩევენ რეალურ და პრტენციურად შესაძლებელი პირის ფორმებს. პრტენციურად შესაძლებელი I და II პირის ფორმები რეალიზდება, უპირველს ყვავლისა, ზმნის გადატანითი მნიშვნელობისა (მეტაფორიზაციის შემთხვევაში), ხატვან მეტყველებაში, აუ-

რეთვე განსაკუთრებულ კონტექსტებში, რომლებშიც გამოყენებულია პერსონიფიკირება, გაპიროვება) და გარდასახვის მხატვრული ხერხები. თუკი ზმნა პირდაპირ მნიშვნელობით არ გამოიყენება I და II პირის ფორმაში, მაშინ გადატანითი მნიშვნელობის, მეტაფორიზაციის დროს, ეს შეზღუდვები იხსნება: ზმნას უკვე შეუძლია ჰქონდეს I და II პირის ფორმები და ამით გადავიდეს ანტროპონიმიული ზმნების სფეროში. ამგვარად, „ლექსიკური მნიშვნელობის ტიპის შეცვლასთან ერთად იცვლება ზმნის გრამატიკული მახასიათებელიც“ (1, 8).

გადატანითი მნიშვნელობის დროს ზმნა კარგავს პირდაპირი მნიშვნელობის დროს არსებულ შეზღუდვებს და უკვემდებარება ზოგად გრამატიკულ კანონზომიერებას, ხოლო ზოგადი კანონზომიერება მოცემულ შემთხვევაში — ეს არის ზმნის პირის ყველა ფორმის არსებობა. პრტენციურად შესაძლებელი I და II პირის ფორმების რეალიზაცია წარმოებს ცხოველების, ბუნების მოვლენების, მცენარეთა, უსულო საგანთა მოქმედების სახელდების გადატანის დროს ადამიანზე (მეტაფორიზაცია). მაგალითად, ზმნა krächen-აღნიშვნავს „ყვავის, ყორნის ჩხვილს“, გადატანითი მნიშვნელობის დროს უკვე ძეგს სემა „ხრინწიანი ხმით ლაპარაკი“ და შეიძლება ითქვას ადამიანზე.

ზმნა quaken — ნიშნავს „ყიყინს“, იტჭვიან ჩვეულებრივ (ხმაბაჭვითი სიტყვა). მეტაფორიზაციის შედეგად დებულობს სემას „ბევრი და უაზრო, ზედაპირული ლაპარაკი“. უმეტესად გამოიყენება ფამილარული საუბრისას და აქვს იმპლიციტურად უარყოფითი სემა:

გადატანითი მნიშვნელობის დროს უბირთ ზმნაც კი პირიანი ხდება. მაგალითად, ზმნა donner — „ქუხის“ — უძირო ზმნაა, გადატანითი მნიშვნელობისას კი პირიანი ხდება და ნიშნავს „ხმამაღლა ყვირილს, დაყვირებას, ღრიალს, გრგვინგას“, მოეპოვება ზმნის პირის სამივე ფორმა.

უპირო ზმნები regnen — (წვიმს), hageln — (სეტყვა) — გადატანითი მნიშვნელობით მათი გამოყენებისას არ აღიქმებიან როგორც უძირონი და აღნიშვნავენ ამა თუ იმ საგნის ან მოვლენის დიდ რაოდენობას (2, 9).

I. სახის კონტექსტი — მოქმედების მაწარმოებელი ცნობილია წინამდებარე კონტექსტიდან, მაგრამ მოქმედების ხაზგასმის მიზნით გამოიყენება უპირო წინადადება. აღნიშნული მნიშვნელობის რეალიზაცია ხდება: ა) უპირო აქტიური კონსტრუქციით, ბ) უპირო პასიური კონსტრუქციით და გ) უპირო ჯაქცვითი კონსტრუქციით.

Tief ins Volk drangen die Lieder, und am Werktag und am Feiertag, bei der Arbeit und beim Essen und in den Schlaf hinein sang und summte es in Kastilien.

L. Feuchtwanger «Die Jüdin von Toledo»).

ამ კონტექსტში უპირო აქტივი გამოიყენება მოქმედების ხაზგასმისა და აგენსის იგნორირების მიზნით, მაგრამ, ამავე დროს, აგენსი იმპლიციტურად მოცემულია ადგილმდებარების — კასტილიის დასახელებით, რაც გულისხმობს პირთა სიმრავლეს, ანუ კასტილიის პროვინციის მცხოვრებლებს, ამაზე მოწმობს არსებითი სახელიც das Volk წინამდებარე კონტექსტში. ტავტოლოგიის თავიდან აცილების მიზნით ავტორი მოხერხებულად იყენებს უპირო აქტიურ კონსტრუქციას.

Die Welt verändert sich. In Märzbach wird zum erstenmal bei Nacht auf freiem Feld gedroschen.

(E. Strittmatter «Tinko»).

უპირო პასიური კონსტრუქციაც ასევე გამოიყენება სწორედ მოქმედების ხაზგასმისა და მოქმედი პირის იგნორირების მიზნით, უმეტესად ერთი და იმავე მოქმედების წარმოებისას მრავალი პირის მიერ.

უჟეცვითი უპირო კონსტრუქციაც ასევე იმპლიციტურად გადმოსცემს პირის, ხშირად პირთა სიმრავლის, მოქმედებას. აქ შეინიშნება მოქმედების ან მდგომარეობის განზოგადება და მოქმედების აგენსი არ საჭიროებს კონკრეტიზაციას; რამდენადც აღნიშნული მოქმედება უფრო მრავალი პირის გამოცდილების შედეგის განზოგადებაა, ვიდრე კონკრეტული სუბიექტის მიერ წარმოებული მოქმედება.

„Schade, daß du nicht trinkst«, sagte er mit erkünsterter Munterkeit. «Bei einem Apéritif spricht es sich viel leichter.»

(L. Feuchtwanger «Simone»).

II სახის კონტექსტი — უცნობი აგენსი (მოქმედების მაწარმოებელი) იხსნება მომდევნო კონტექსტში. მოქმედების

მაწარმოებელია: ა) ადამიანი (პირი), ბ) არა-პირი (ცხოველი, ფრინველი, მცენარე, ბუნების მოვლენა და ა. შ.). კონტექსტის ამ სახეობისათვის ნიშანდობლივია ძირითადდად უპირო აქტიური კონსტრუქციები, სადაც ხშირად პრედიკატებად გამოდიან პირიანი ზმნები უპირო მნიშვნელობით:

Im Hoflur tappte es. Großvater reißt die Tür auf. Der Lichtschein fällt auf Felkos Martha.

(E. Sirittmatter «Trinko»).

აქ დახაწყისში მოცემული უცნობი აგენსი, მოქმედების მაწარმოებელი, იხსნება მომდევნო კონტექსტში: ეს პირის პირი (აღადმიანი).

III სახის კონტექსტი — აგენსის ანონიმურობა არ იხსნება მომდევნო კონტექსტში. მოქმედება წარმოება უეცრივ და თითქოსდა არ არის დამოკიდებული ადამიანის ნება-სურვილზე. აქ ადგილი აქვს უმეტესად ადამიანის სამეტყველო და აზროვნების მოქმედების, სულიერი ან ფიზიკური მდგომარეობის გამოხატვას.

მხატვრული ლიტერატურის ენაში შეიძლება გამოიყოს ზმნების რამდენიმე ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფები პასიურობის საერთო მნიშვნელობით. ეს პირის უმეტესად მეტყველების გამომხატველი ზმნები. უესტისა და მეტყველების გამომხატველი ზმნები ისწრაფვიან არამიზანდასახული მოქმედების გახსნისაკენ: „შინაგანი მეტყველების „გამოტანას“ ახასიათებს „უპირობა“ მეტყველების გამომხატველ ზმნებში“ (4, 55), მეტყველების თვითნებურობით, როცა ძაღმიანს უეცრივ, მისდაცნებურად რაიმე „წასცდება ენიდან“. ზედმეტად დაძაბულ დრამატულ სიტუაციაში პერსონაჟი ამბობს „არაგამიზნულ“, უეცრივ წამოსროლილ სიტყვებს.

Sie schwiegt nicht immer. Sie erinnert sich eines Abends, als sie, angewidert von der Hohlheit und dem Leerlauf des gesellschaftlichen Lebens, nachdem sie beide spät in der Nacht nach Hause gekommen sind, ihren Empfindungen freien Lauf läßt und einige von den Menschen, mit denen sie zusammenwaren, stark kritisiert. Und als sie einmal begonnen, bricht es wie ein lang gehemmter Strom aus ihr.

(W. Johe «Jeanny Peyrouton»).

ხშირად უპირო კონსტრუქციის საშუალებით გადმოიცემა პერსონაჟის შინაგანი მეტყველება:

Jefta spürte mit wilde Freude seiner Männer an der wüsten, lustigen, Jagd. Doch gleichzeitig warnte es in ihm: das da unten ist unwüdig und überaus töricht, es muß Wöses daraus waehsen. Und gleichzeitig ruft es in ihm: Laß deine Lust sich austoben.

(L. Feuchtwanleg «Jefta und seine Tochter».)

მოცემულ უემთხვევაში, უპირო კონსტრუქცია თითქოსდა პირის გაორების გამოხატვას ემსახურება: ადამიანს სურს გა-აკეთოს ერთი რამ, მაგრამ მისი შინაგანი ჩემ მას სხვა რაიმეს ჯარინახებს, თითქოს ერთ მოქმედ პირში მოცემულია მოლაპარაკეცა და მსმენელიც. აზრის, გრძნობის, შევრმნების უნგბლივი, ქვეცხობიერი მნიშვნელობის გამოსახატავად, საღაც სუბიექტის პასიურობას აქვს ადგილი, გამოიყენება უპირო კონსტრუქციები:

„Ich werde fallen!“ — fuhr es imm durch den Sinn, mit der Gewißheit einer Erleuchtung, die keinen Zweifel zu läßt.

(B. Kellermann «Der 9. November»).

პასიურ-სემანტიკური კონსტრუქციები (რომელიც გამოხატავს ქვეცხობიერ, გონების მიერ კონტროლს მოკლებულ აზრებს, იმას, რაც თავისთვის „მოტივტივდა“ ცნობიერებაში) იქცნებ მხატვრული ფრიქოლოგიზმის არსებით გამომსახველობით საშუალებად. პასიური „სუბიექტურობის“ ღვერდის გრამატიკული მნიშვნელობა მხატვრულ კონტექსტში დებულობს ხატვან-ექსპრესიულ გამოყენებას. სუბიექტი, რომელიც განიცდის ამ ფსიქოფიზიკურ ძიგომარეობას, უკიდურესად პასიურია. მხატვრულ კონტექსტში იგი გამოდის როგორც „რადაც ძალის შეხების წერტილი“ (4, 56).

Und als Sibylle ihren kleinen Hannes an der Hand, von der Terrasse heruntersah, wie Rolf sich umblickte, und dann endlich seine Familie erkennend, mit einer Zeitung winkte, in diesem Augenblick wurde es in Sibylle plötzlich sehr stumm, ja sie winkte nicht einmal.

(M. Frisch «Stiller»).

იდუმალი, უხილავი მოქმედის არსებობა, რომელიც ვლინდება გარავეულ კონტექსტში, უპირო კონსტრუქციებს განსაკუთრებულ კონტაციას, მისტიკურობის, ზოგჯერ ეგზალტაციის ელფერს ანიჭებს:

Und laut rief er in die Dunkelheit hinein. «Last jemand da?»

«Hahaha!» — lachte es aus der Finsternis.

«Hier bin ich! Was wollt ihr von mir?»

«Hahaha!» — Ganz fern.

niemand. Er verschloß die Türe.

(B. Kellermann «Der 9. November»).

პირიანი ზმნები უპირო ხმარებისას იძენებ დიდ ექსპრესიულობას. ფერო ექსპრესიულია ის ზმნები, რომლებიც იშვიათად გამოდიან უპირო კონსტრუქციებში ან მეტალთა ერთჯერად სტილისტურ წარმოქმნებს წარმოადგენენ. ექსპრესიულობის ხარისხის გაძლიერებას განაპირობებს მოცემულ სინტაქსურ გარემოცვაში მათი უჩვეულო გამოჩენა.

Oskar liebte Musik. Immer wenn ihm Großes bewegte, wenn er «sah», dann auch wurde in seinem Innern Musik lebendig, vor allem Wagnersche Musik. Es meistersingerete dann in ihm, es pilgerhörte, es feuerzauberte.

(L. Feuchtwanger «Die Brüder Lautensack»).

გამოსახულების ფსიქოლოგიზაცია, სულის ფაქიზი მოძრობის ძიება; ასოციაციური კავშირების წყალობით გარემოქმედებათა წმინდა შინაგანი მიზეზების კვლევა — ეს ის პირობებია, რომლებიც, თავიათ მხრივ, მოითხოვენ ისეთ ენობრივ საშუალებებს, როგორიცაა უპირო კონსტრუქციები (4, 70).

ამგვარად, დეფექტური პარადიგმის შევსება ან სრული პარადიგმის შეუსებლობა ძირიქმება როგორც ნორმის დარღვევა, რადგანაც ლექსიკური და გრამატიკული მეტაფორიზაცია ინდივიდუალურ, ოგაზიონალურ ხასიათს ატარებს, ანუ მეტაფორიზაცია მკაცრადაა დეტერმინებული განსაზღვრული სიტუაციოთ.

მორფოლოგიური ნორმის ფერა ექსპრესიული ნიშნადი დარღვევა წარმოადგენს მოლაპარაკის სწრაფვას, „დაამარცხოს“ ნორმა, მოახდინოს უფერტი მასთან შეჯახების შედევად.

Зарегистрировано в Государственном архиве Республики Казахстан —  
архиве Университета имени Аль-Фараби в г. Алматы.

### ЗАЩИТАНИЕ ДИССЕРТАЦИИ

1. Дружинина А. Ф. — Глаголы с неполной парадигмой в современном русском литературном языке. АКД, М., 1964.
2. Бурдина З. Г. — Интегративные процессы в сфере неразложимых языков структур в современном немецком языке, ИЯШ, 4/1982, с. 7-12.
3. Вольперт Р. Х. — Структурно-стилистический анализ моделей предложений с частицей в современном немецком языке, АКД, М., 1968.
4. Еремина Л. И. — Слово и контекст (стилистическое использование грамматической категории безличности в системе художественного текста) в кн.: Стилистика художественной литературы, М., Наука, 1982, с. 45-76.
5. Ә. Әбенов — Ізбір түрлөрінде әбілдік жағдайлар, бал. II, тәж., 1960.
6. Ә. Қазақшев — әбілдік деңгөлөрдегі қартаудың әбілдік жағдайы, тәж., 1977.
7. W. Schmidt — Grundfragen der deutschen Grammatik, Berlin, 1965.
8. H. Brinkmann — Die deutsche Sprache. Gestalt und Leistung, 2. Aufl. Düsseldorf, 1971.

